

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

**ოქმი N 9**

ქ. ვანი თავისუფლების N 65

19 ნოემბერი 2018 წელი

13:00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** კობა ტოხვაძე, თენგიზ დვალიშვილი, ივანე კორძაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, მერაბ ხურციძე,

**საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა:** შალვა ლორთქიფანიძე, ტარიელ ბარამიძე, თამარ შენგელია.

*სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.*

**დანართი N1**

**მოწვეული პირები:** საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია.**

ა(ა)იპ სამსახურის წარმომადგენლები:

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორი - **გვანცა სიგუა.**

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო, განათლების და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორი - **თამარ ჟვანია.**

ა(ა)იპ ვანის კულტურის ღონისძიებების ორგანიზებისა და მართვის ცენტრის დირექტორი - **ლელა ადეიშვილი.**

ა(ა)იპ ვანის ტურიზმის ცენტრის დირექტორი - **ნანა ლილუაშვილი.**

ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „აიეტის“ დირექტორი - **ვალერი როხვაძე.**

ვა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულების გაერთიანების“ დირექტორი - **ზვიად მინაშვილი.**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე.**

**დღის წესრიგი**

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ“

მომხს:/ივანე კორძაძე/

2.ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბადრი სვანაძის განცხადების შესახებ.

მომხს: კობა ტოხვაძე

**გადაწყვეტის:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს:**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, კომისიის წევრებს გააცნო „ვანის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.

მოწვეული სტუმრების მხრიდან 2019 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით იყო შენიშვნები.

თითქმის ყველა ა(ა)იპ სამსახურის ხელმძღვანელებს პრეტენზია ქონდათ ხელფასის მატებასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა გვანცა სიგუამ აღნიშნა, რომ ჩემი სამსახურისთვის 2019 წლის ბიუჯეტში გვესაჭიროება დამატებითი თანხები, გაერთიანებისა და საბავშვო ბაღების თანამშრომლები მუშაობენ სრული განაკვეთით დღეში 8 საათიანი სამუშაო დროით, რისთვისაც შრომის ანაზღაურება არ არის შესაფერისი, გაერთიანებაში ძირითადად მანდილოსნებია დასაქმებული და სარგებლობენ ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით 183-200 კალენდარული დღით საჭიროა ანაზღაურების გაცემა.

პრეტენზია გამოთქვა ქალბატონმა თამარ ჟვანიამ, ჩვენ როგორც ა(ა)იპ უფროსები გვაქვს ძალიან დაბალი ანაზღაურება და პასუხისმგებლობა ძალიან დიდი, მყავს დამლაგებელი რომელსაც აქვს 130 ლარი ხელფასი, ასეთი დაბალი ანაზღაურება არცერთი სამსახურის დამლაგებელს არ აქვს, გთხოვთ გაითვალისწინოთ ეს ჩვენი პრობლემები და მოახდინოთ რეაგირება.

პრეტენზია გამოთქვა ნანა ლილუაშვილმა, 60 000 ლარი ვანის ტურიზმის ცენტრისთვის არის არასაკმარისი. აღნიშნული თანხით ჩვენი სამსახურის განვითარება და წინსვლა შეუძლებელია.

ასევე მოსაზრებები გამოთქვეს 2019 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით ბატონმა ზვიად მინაშვილმა და ბატონმა ვალერი როხვაძემ.

**დაადგინეს:**

წარმოდგენილი 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი შენიშვნებით და მოსაზრებებით მზად არის ბიუროს სხდომაზე გასატანად.

/ დანართი N2/

### **მოხმინეს :**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, ბადრი სვანაძის განცხადება, რომელიც ითხოვს 1 (ერთი) საშტატო ერთეული გამოყოფას.

კომისიის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, წარმოდგენილი განცხადება გადაეგზავნოს მერიას რეაგირებისათვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ  
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე